



ქ.ზუგდიდი

01.12.2017 წელი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №33**

**გაუქმებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის განხორციელებისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 30 ნოემბრის №02/114 წინადადების საფუძველზე,

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია თანხმობა მისცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს განხორციელოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შემდეგ ა(ა)იპ-ებისა და შპს-ებში კერძოდ,

ა) ლიკვიდაცია განხორციელოს: გაუქმებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში „სააღმზრდელო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი“, „N2 სამუსიკო სკოლა“, კულტურის ცენტრი „ოდიში“, „აკ. წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა“, „კეთილმოწყობის ცენტრი“, „არაპროფესიული სამოყვარულო თეატრი ჩხოვრია“, „სასაფლაოების მართვის ცენტრი“, „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი“, „სპორტის განვითარების ცენტრი“ და გაუქმებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები „კეთილმოწყობის ცენტრი“, „სასაფლაოების მართვის ცენტრი“, „სპორტის განვითარების ცენტრი“, „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრი“, „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“, „N1 სამუსიკო სკოლა“, „საგუნდო-სამუსიკო სკოლა“, „სამხატვრო სკოლა“, „მიხეილ მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა“, „ცენტრალური ბიბლიოთეკა“ და შპს „კულტურისა და ხელოვნების სახლი“;

ბ) რეორგანიზაცია განხორციელოს: გაუქმებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში: „განმუხურის ბოტანიკური ბაღი“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ და შპს-ებში „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანპორტი“, „ზუგდიდაგროსერვისი“, და „anaklia-ganmukhuri resorts“ და გაუქმებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავება“.

2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს განხორციელოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაციათან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია